

572
1955

ბავშვების
მეგობრები

დედა


ოქუბლი, ტურულ ქვეყანა,
იღბსე, იური შინა,
და პეტე, ქართული, სწავლითა
სამსახლი კახანო.

№ 8 საბავშვო ბავშვების კომიტეტის
შარხალი მთიანეთის

აპრილი
1955



„ასი. ასნი, ასლაძისი,
ასნი კაბა აცვია,
ასრუშუმის ქოჩორი
თავსე გადავარცხნიბ.“
ხალხურა



ისმინე, სწავლის მძებნელო,
მიჰყევ დავითის მცნებასა:
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ —
ტკბილი,

თუ ეძებ გემოვნებასა;
თავს სინანული სუობია
ბოლოყამ დანანებასა.

სწავლა სიკვდიმდე შენია,
მუდამ შენთანა მყოფელი:
მას გეცოლების ვერავინ,
არ არის გასაყოფელი.
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს,
გასტანჯავს წუთისყოფელი.

ყრმა სწავლაში მომშვილდების,
რკინა ცეცხლში გარბილდების;
უსწავლელი ვაჟიკაცი
სიბერის დროს გაწვილდების;
სწავლის ძირი მწარე არის,
კენწეროში გატკბილდების.

დავით გურამიშვილი



დ. გურამიშვილის ძეგლი ქ. მირგოროლში

ავგისტოში შესრულდა 250 წელი დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის გარდაცვალებიდან.

დავით გურამიშვილი დაიბადა 1705 წელს სოფელ საგურამოში. იმ დროს საქართველოს მრავალი მტერი ესხმოდა თავს. ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე რუსეთში გადაიხვეწა და დიდ რუსეთს სთხოვდა დახმარებას საქართველოს მტრების წინააღმდეგ.

ახალგაზრდა დავითი ტყვედ წაიყვანეს მოთარეშე ლეკებმა. პოეტი ტყვეობიდან გაიპარა და თავი შეაფარა რუსეთს. მას შემდეგ დავითი ცხოვრობდა რუსეთში, შემდეგ კი უკრაინაში.

დავით გურამიშვილმა, სხვა ქართველებთან ერთად, მრავალჯერ მიიღო მონაწილეობა რუსეთის მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში. სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა უკრაინაში, ქალაქ მირგოროლში, სადაც 250 წლის წინათ გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული.

გურამიშვილმა დაგვიტოვა დიდი პოეტური მემკვიდრეობა. თავისი ლექსებითა და პოემებით დაგვიხატა იმდროინდელი საქართველოს ცხოვრება, უმღერა რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობას.

1949 წელს მოძმე უკრაინელმა ხალხმა მირგოროლში ძეგლი აუგო დიდ ქართველ პოეტს.

ქართველ ხალხთან ერთად საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი აღნიშნავს დავით გურამიშვილის გარდაცვალების 250 წლისთავს. გურამიშვილის თხზულებანი თარგმნილია მრავალ მოძმე ხალხთა ენაზე.





თქროს კაცუნა

ნინო ლოლოვაძე

ნახატები რ. სხეჩიძისა

გაგო-ბიჭები სოფლის განაპირას თამაშობდნენ.

შორიანი ხედი მსუბუქი მანქანა გაჩერდა და ორი ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა; რომელთაც მხარზე საველე ჩანთები ეკიდათ. მათ მიიარ-მოიარეს მინდორი, მერე ერთმა მათგანმა ფოტოაპარატი მოიმარჯვა, მეორე მივიდა გაგო-ბიჭებთან, მიესალმა და უთხრა:

— წერაქვი და ბარი გვკირდება, ვერ მოგვიტანთ?

— რატომ არა! ახლავე მოგართმევთ! — შესძახა ავთანდილმა. — წამო, გივი! — მიუბრუნდა იგი ამხანაგს და ორივემ მკვირცხლად მოქუსლა სოფლისაკენ. ათი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ ბიჭებმა წერაქვი და ბარი სტუმრებს წინ დაუწყვეს.

— აი, ყოჩაღ! — უთხრა მათ ერთ-ერთმა ახალგაზრდამ, — ახლა კი, ბავშვებო, ცოტა განზე გადაქით.

სტუმრებმა ჯერ თან ჩამოტანილი პატარა წერაქვებით დაიწყეს მიწის ჩიჩქა, შემდეგ კი ნათხოვარი იარაღი მოიშველიეს. ავთანდილი და გივი გულდაგულ ეძებრნენ წერაქვს და ახალმოსულებს — ძია ვახტანგს და ზურაბს მიეხმარნენ, სხვები კი ხევში ჰყრიდნენ ამოთხრილ მიწას. გახურდა მუშაობა.

— ძია ვახტანგ, რატომ თხრით მიწას? — შეეკითხა ოთარი.

— ჩვენ არქეოლოგები ვართ. არქეო-

ლოგებს კი ის ძველი ნაშთები აინტერესებთ, რომელიც მიწაშია დამალული. ამოუთხრით და ძველ ამბებს შეეცდებით.

ბავშვებმა, ცოტა არ იყოს, უნდობლად შეხედეს ვახტანგს.

— კი მაგრამ, თუ არავის დაუწერია, როგორ შეიტყობთ?

— ჰოო! ბიჭობაც ეგ არის! — გაეცივნა ზურაბს. — არქეოლოგმა მიწის გათხრით უნდა გაიგოს ყველაფერი. აი, ახლა ამ ველზე რომ ვდგავართ, ვინ იცის, რამდენი რამ ძვეს ჩვენს ქვეშ, ისეთი, რაც გვეტყვის, როგორ იარაღსა და ქურქელს ამზადებდა ძველად ადამიანი.

თამრიკამ ვერ მოითმინა და თავისთვის წაიდუღუნა:

— ქურქელსა და იარაღს რა უნდა მიწაში?

— რა უნდა, გენაცვალე, და ძველად ადამიანებს რომ მარხავდნენ, მრავალნივთს ატანდნენ თან. — მიუგო ვახტანგმა, — ზოგჯერ სახლის ნანგრევებშია ხოლმე ჩარჩენილი სხვადასხვა საოჯახო საგნები.

— ამ სიღრმეზე სახლი? — დაეჭვა გივი.

— ათასი და ორი ათასი წელიწადი რომ გავა, იმ ძველი მიტოვებული სახლის ნანგრევებს თანდათან ღრმად დაფლავს ქარისა თუ ნიაღვრისაგან მოტანილი მიწა-ტალახი. — აუხსნა ზურაბმა.

ნახევარი საათის შემდეგ განათხარამა მიწამ ფერი იცვალა, გამუქდა და შიგ თიხის ქურქლის ნატეხებიც გამოერია. ძია ვახტანგმა გათხრა შეაჩერა, ჩანთიდან რბილი ფუნჯი ამოიღო და ფრთხილად დაუწყო ნატეხებს ნოტიო მიწის გადაცლა. გოგო-ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს: „სულ ეს იყო? ამისთანა ნატეხები ხომ ყოველ ფეხის გადადგმაზე ყრია!“ — გაიფიქრეს.

— ეს ნამტვრევები რაღა საჭიროა? — მორიდლებით შეეკითხა ავთანდილი.

— არქეოლოგიაში, ჩემო ავთანდილ, ზოგჯერ ერთ პატარა ნატეხსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. აი, ამ ნატეხებს შევაკოწიწებთ, აღვადგენთ და გავიგებთ, თუ რა მოყვანილობის ქურქული ყოფილა, როგორ გამოუწვავთ თიხა. ამის მიხედვით კი შევეიტყობთ, თუ რომელ ხანას ეკუთვნის ეს ქურქული, რადგან თიხის ქურქულს სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად აკეთებდნენ. ჰოდა, დაიხსომეთ, არასოდეს არ უნდა დავეშუროთ ამ თითქოს უბრალო ნატეხების გადაყრას.

არქეოლოგები სათითაოდ სინჯავდნენ მიწის ბელტებს, ფრთხილად ფშენდნენ და ისე ჰყრიდნენ განზე. მალე მიწაში წითელი მძივის ოციოდე მარცვლი გამოჩნდა.

ნაშუადღევს არქეოლოგებმა მუშაობა დამთავრეს ნაპოვნი ნივთები შეახვიეს და ხის ძირას ჩამოსხდნენ დასასვენებლად. გოგო-ბიჭები ირგვლივ შემოუსხდნენ.

— მაინც რამდენი ხნისა ყოფილა ეს ნივთები? — იკითხა ანზორმა.

— აი, ამ ქურქულსა და მძივებს რომ ვკითხოთ, დაახლოებით სამი ათასი წლია მაინც უნდა იყოს, თუ მეტისა არა. — მიუგო ვახტანგმა.

— მაშ, თუ ჩვენც რამეს აღმოვაჩინებთ, უთუოდ მოგიტანთ, მაგრამ სად უნდა განახოთ? — იკითხა ავთანდილმა.

— თუ რაიმე აღმოაჩინებთ, სკოლას ან სოფლის საბჭოს აცნობეთ. მაშინ ნივთები აღარ დაეკარგება ჩვენს მეცნიერე-



ბას. თუ თბილისში მოგვაციოთხავთ, დი-
დი მუხეუმი რომ არის, რუსთაველის
გამზირის დასაწყისში, იქ მოდი. თქვენ
შეგიძლიათ დიდად დაეხმარათ არქეო-
ლოგებს. საქართველოში ძალიან ბევრია
მიწაში ჩამალული საინტერესო ნაშთე-
ბი.

არქეოლოგები წამოდგნენ, მანქანა-
ში ჩასხდნენ, ახალშეძენილ პატარა მე-
გობრებს გამოეთხოვნენ და ქალაქისაკენ
გასწიეს.

* * *

გავიდა შემოდგომა და ზამთარი.

ჩამოცხა თუ არა, ბიჭები* მტკვარში
ჩაივდნენ საბანაოდ, ჭყუმპალაობდნენ და
ქვილ-ხვილით აყრუებდნენ იქაურობას.

ავთანდილმა და ოთარმა გასცურეს
თავიანთი საყვარელი ადგილისაკენ, რომ-
ლის თავზე ნაპირი მაღალი და სწორად
ჩამოქრილი იყო. შუა ბანაობაში რომ
იყვნენ, უცბად იმ მაღალ ნაპირზე მიწა
მოირღვა და ხმაურით ჩაზვავდა წყალში.
ბიჭებმა ჯერ განზე გასცურეს, მაგრამ
მერე ცნობისმოყვარეობამ დასძლიათ და
ნელ-ნელა ისევ მიუახლოვდნენ ჩამონაშ-
ვავს.

— რა ფხვიერი მიწა ყოფილა! რამო-
დენა მიწა მოიგლიჯა ერთი თვალის და-
ხამხამებაზე. — წამოიძახა ოთარმა.

— შეხე, შეხე, როგორ აქრელებულია
მიწა, თითქოს ზოლებად შეუღებიათ!

— ეგ იმიტომ, რომ სხვადასხვა
დროის ფენებია. ძია ვახტანგმა ხომ აგვი-
ხსნა: ზემოდან რომ თიხის ფენა, ის მო-
ყვითალოა, ძველი ფენა კი მოშავოა.
ნეტავ მაგამი სამარხი იქნებოდეს! — უთ-
ხრა ავთანდილმა.

ბიჭებმა გასცურეს მოზრდილი ლო-
დისაკენ, რომელიც მდინარის შუაში მო-
ჩანდა, ჩამოსხდნენ მზისაგან გამთბარ ქვა-
ზე და ჩაშვავებულ მიწას ყურადღებით
დაუწყეს თვალიერება.

ერთგან თითქოს რაღაც ლაპლაპე-
და. თვალი ხომ არ მატყუებსო? — გაი-
ფიქრა ავთანდილმა და ადგილი გადაი-
ნაცვლა; ის „რაღაცა“ ისევ თვალის მომ-
ქრელად აელვარდა მზის სხივზე.

— ნეტავ რა ანათებს?.. აქედან ნა-
პირს ვერ მივუღებოთ, ვითუ კიდევ
ჩამოიშალოს მიწა. ისევ სჯობს ზემოდან
მოვეუაროთ! — თქვა ავთანდილმა და გას-
ცურა.

— შუშა იქნება, ბიჭო! — უთხრა ოთარ-
მა, მაგრამ მაინც ცურვა-ცურვით გაჰყვა
ამხანავს.

მიუახლოვდნენ ნაპირს. ამოვიდნენ
წყლიდან და იქით გასწიეს, სადაც მო-
ლაპლაპე ნივთი ეგულებოდათ. წყალი
წურწურით ჩამოსდიოდათ. მიწა ფეხებ-
ქვეშ ეფშვებოდათ და მუხლებამდე შიგ
ეფლობოდნენ.

ავთანდილმა გაიხსენა ძია ვახტანგის
ღარიგება და სათითაოდ, პეშვით დაუწყ-
ყო სინჯვა მიწას. ცოტა ხნის შემდეგ
თიხის ქურქლის ნატეხებიც გამოჩნდა,
რომლებიც ფრთხილად ამოკრიფეს. მე-
რე ერთ ხანს სუფთა მიწა ამოდიოდა,
სანამ ხელი რაღაც მაგარ საგანს არ
მოხვდა. ავთანდილმა ფრთხილად ამოი-
ლო პატარა ბრჭყვილა ნივთი, რომელ-
საც მიწა ისე მიჰკვროდა, რომ ვერ გაარ-
ჩევდი, თუ რა იყო. „ეს იყო, რომ
ბრჭყვიალებდა?“ გაიფიქრეს გაოცე-
ბულმა ბიჭებმა, სწრაფად დაუწყეს წმენ-
და ნივთს და ხელში შერჩათ პაწია ქან-
დაკება, რომელიც გამოხატავდა ჩაცუტ-
ქულ ადამიანს. მას თავზე რგოლი ჰქონ-
და დამაგრებული. ბიჭებს გული აუტოკ-
დათ, რიგრიგობით ათვალიერებდნენ და
ხელისგულზე სწონდნენ ნაპოვნ ნივთს.

— რა კობთა კაცუნაა! — წამოიძახა
ავთანდილმა. — ვინ იცის, ოქროა თუ
სპილენძი? ნეტავ როდინდელია? სადაა
ახლა ძია ვახტანგი, ის ხომ ყველაფერს
დანამდვილებით გვეტყოდა?


კიდევ კარგა ხანს სინჯეს მიწა, მაგრამ მეტი ველარაფერი იპოვნეს. ეტყობოდა, უმეტესობა ზვავს ჩაეტანა წყალში და „ოქროს კაცუნა“ ბედზე გადარჩენილიყო.

— წამო, ავთო, ბიძაშენს ეთხოვოთ წაგვიყვანოს ქალაქში და ძია ვახტანგი გვაჩვენოს. ეს თიხის ნატეხებიც წავუღლოთ!—წამოიძახა ოთარმა, „ოქროს კა-

ცუნას“ ხელი დაავლო და გახარებულგვით შურდულივით გაქანდნენ შინისაკენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ავთანდილმა და ოთარმა ასეთი წერილი მიიღეს ძია ვახტანგისა და ზურაბისაგან:

„ყოჩაღ, არქეოლოგებო! თქვენი ნაპოვნი ოქროს ქანდაკება სულ ცოტა ორი ათასი წლისა მაინც იქნება; ამ ნივთს მუზეუმში გამოვფენთ და წავაწერთ, რომ იგი თქვენს მიერ არის აღმოჩენილი. გმადლობთ“.



თუთა



ძირს გაშალეს დიდი სუფრა,
ნიკამ თუთა დაარხია,
დაიფანტოს თუნდაც თუთა,
ირგვლივ სუფთა ბალახია.

თუთას სკამენ გოგონები:
რომ დახატეს ზიზიებმა,
ნიკა ტოტზე შემომჯდარა
და ამაყად იმზირება.

გუჩის აჩუა

ბიძამ გურის აჩუა
გრძელფაფარა აჩუა
და მტირალა გურიკო
იმ წუთშივე გაჩუმდა.

ერთი ახელ-დახელა
თავის ახალ მეგობარს,
მერე წყენით წამოსცდა:
— შე ნამდვილი მეგონა...



მატკობს სოფლის მთა-ველი




ა. ბაგაშვილი

ქალაქიდან ჩამოველ,
მატკობს სოფლის მთა-ველი,
გულს მიხარებს ყანაში
პურის მწიფე თაველი.

მომწონს ზვარში ვაზები,
ერთურთს გადახვეული.
მზის სხივით და ცივი წყლით
გავიკაჟე სხეული.

გარიყრაჟე ვიღვიძებ,
ტორლოვების ხმა ისმის...



მკლავში მეტი ძალა მაქვს,
გულში—მეტი ხალისი.

გავიცანი ტოლეტი
ვერხვის ჩრდილში, წყაროსთან,
არ უნახავთ ქალაქი,
უნდათ ჩემთან წამოსვლა.

სურთ ტრამავით იქროლონ,
ნახონ ქუჩა ყოველი...
მათ ჩამოსვლას თბილისში
სიხარულით მოველი.

კაკი ბიჭი

ძალიან რომ არ დაგვიანებოდა, სირბილითაც კი მიდიოდა ლევანი. მალე მილიციის შენობასთან აღმოჩნდა. აქ კი უკვე ფეხაკრეფით ავიდა კიბეზე, დერეფანი გაიარა და ცალი თვალით შეიქვრივდა სამორიგეო ოთახში. ნაცნობი ვერავინ დაინახა. უნდოდა გუშინდელი მორიგე ენახა, მაგრამ იქ არ აღმოჩნდა. წიგნებით სავსე ჩანთა მაგრად ამოედრო ილღიაში, თითქოს ეშინოდა, არავინ წამართვასო. ცოტა ხნის შემდეგ სამორიგეო ოთახში შევიდა. იქ მხოლოდ ერთი კაცი იყო და ისიც ტელეფონით ლაპარაკობდა. ამ კაცმა შემოსული ყმაწვილი შეამჩნია, როგორც იქნა, მორჩა ლაპარაკს, მილი თავის ადგილზე დადო და ლევანს შეეკითხა:

— ვის ეძებ?

— აი, აქ თქვენს ადგილზე რომ იჯდა გუშინ, ის კაცი სად არის? -- უპასუხა ლევანმა, — იქნებ თქვენ იცით!

— არ ვიცი. — მოკლედ მიუგო მორიგემ.

ლევანს ახლა ცოტა შიშმაც გაჰკრა გულში, ეს რა მკაცრი ვინმე ყოფილაო. აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა: უკან დაბრუნებულიყო თუ დარჩენილიყო.

— ძია! — მიმართა ხვეწნით, — თქვენ როგორ არ გეცოდინებათ? ჩემს სკოლაში მე ყველას ვიცნობ.

მორიგეს გაეღიმა:

— როგორი კაცი იყო?

ლევანმა თავისუფლად ამოისუნთქა, დამშვიდდა. ეს სიტყვები გულთბილი მოეჩვენა. მან ერთი-ორი ნაბიჯი წადგა წინ, მერე კვლავ შეხედა მორიგეს და უპასუხა:

— შავულვაშიანი კაცი იყო.

მორიგე და ლევანი ლაპარაკში რომ



იყვნენ გართულნი, სწორედ ამ დროს შემოვიდა ის კაცი. ბავშვმა მორიგეს უცებ მიანება თავი და ძველი ნაცნობისაყენ გამეძარბა:

— მე ისა ვარ, გუშინ რომ ვიყავი თქვენთან და თან ამხანაგებიც მახლდნენ. თეატრში მიმეჩქარებოდა. ტრამვაიზე შეხტომისათვის თქვენთან მომიყვანეს, დამაჯარიმეთ, ფული კი თან არა მქონდა...

— ჰო! გამახსენდა. მერე ახლა რაღა გინდა?

— მე ხომ პირობა მოგეცით, ჯარმას მოვიტან-მეთქი! — თქვა ლევანმა და ფული გაუწოდა.

უფროსმა ლეიტენანტმა ხელი გამოსწია და, ფულის გამორთმევის მაგივრად, მხარზე დაჰკრა მოფერებით, მერე მორიგეს შეხვდა:

- აი, ნამდვილი პიონერი.
- ეგ არც დაარღვევს ამის შემდეგ წესრიგს, — თქვა მორიგემ, — მაშინაც, ალბათ, შემთხვევით მოუხდა...
- ჰო, ძია, ძალიან მეჩქარებოდა... — ჩაილაპარაკა ლევანმა.
- ეს ფული შენ გქონდეს. ამით კარგი წიგნები იყიდ! — უთხრა უფროსმა ლეიტენანტმა.
- არ მინდა.
- რატომ? ვანა წიგნები არ გიყვარს?
- როგორ არ მიყვარს, მაგრამ ეს

ფული ჯარიმის გადასახდელად გამომატანა ღელამ.

- გუშინვე შეგამჩნიე, კარგი ბიჭი ხარ, სიმართლე რომ მითხარი, ამიტომ გაგათავისუფლე. ჯარიმა მიპატიებია. წაიღე ეგ ფული და შინისაკენ გაიქეც! ლევანი გაბრუნდა, გამოემშვიდობა, მადლობაც გადაუხადა, მაგრამ ფულს ჯიბეში მაინც ვერ იდებდა, თითქოს სხვისი ფული მიჰქონდა.
- გაიქეც, ბიჭიკო, გაიქეც! შენ კარგი ბიჭი ხარ. — მოფერების კილოთი ეუბნებოდა უფროსი ლეიტენანტი.
- ჯარიმის გადასახდელად მისულ ლევანს ჯილდო დახვდა. ეს ჯილდო იყო სამი უბრალო სიტყვა: „კარგი ბიჭი ხარ“.



ჩემო ფისო

3. მუხამაძე

შემოგხედავ, აცქვეტ ყურებს, დეახარ ჩემს წინ შშვიდი სახით, მოწყალეობით შემომყურებ, მიავ, მიავ, — გაიძახი. დღეს ქურდობა დაგაბრალებს, გეძახოდნენ: — წუწკო, ხარბო! — ეჰ, რამდენი ჯოხი გირტყევს, ვინდა დათვლის, ჩემო კარგო. თუკი რამე დაგჭირდება, აგერ არის შენი ლია,



ფისო, შენი გამოკვება ნუთუ აღარ შემიძლია? ყველი გინდა?! ყველს მოგიტან, შენთვის, ფისო, მუდამ ვცდილობ: რა იქნება, ეს გალახვა ერთხელ მაინც აიცილო. ერთად ვიყოთ და გესმოდეს ჩემი რჩევა-საუბარი, შენზე ფიქრობს, შენთვის ზრუნავს შენი კარგი მეგობარი.

იატაკმა გატეხა



საბავშვო ბაღში საუზმის დროს ცისმარამ ლამბაქი გატეხა.

— ვინ გატეხა ლამბაქი? — იკითხა მასწავლებელმა.

— ცისმარამ გატეხა! — წამოიძახეს ბავშვებმა.

— არა, მე სრულიადაც არ გამიტეხია, — თქვა ცისმარამ, — ხელიდან გამივარდა და იატაკმა გატეხა.

რწყილი და ქიანჭველა

ანა ხახუაშვილი

მამამ თინას ლამაზი ფეხსაცმელი მოუტანა. თინამ ჩაიცვა, ძლიერ მოეწონა და მაშინვე ელიკოსთან საჩვენებლად გაიქცა. გოგონებმა ჯერ აივანზე ირბინეს, მერე ძირს ჩავიდნენ და ღელესაკენ გასწიეს; ღელეს იქით, აბიზინებულ მწვანეზე, ყაყაჩოები წითელ თავებს ისე არხვედნენ, თითქოს ბავშვებს ეპატიებოდნენ, შორიდან რას გვიცქერით, მოდით, გული გაიხარეთო.

— მართლა, თინიკო, ჩვენ რომ მასწავლებელმა წარმოდგენისათვის ყვავილების მიტანა დაგვავალა, მოვკრიფეთ და მივუტანათ!

— მერე რუხე როგორ გადავხტეთ, მეშინია. — უკან დაიწია თინამ.

— რისა გეშინია, ამაზე ვერ უნდა გადავხტეთ?! აბა, მიცქირე! — ელიკომ ისკუპა, ძლივს გადახტა, მერე ისევ გადახტა და თინიკოს უთხრა:

— ნუ გეშინია, ხელი მომეცი და გადავხტუნებ!

თინიკომ ხელი გაუწოდა. როცა გოგონებმა ისკუპეს, ელიკომ უნებურად ხელი გაუშვა, თვითონ როგორც იყო გადახტა, თინიკო კი ახალი ფეხსაცმელით წყალში ჩავარდა. ელიკომ ატირებულ გოგოს ხელი მოჰკიდა და გამოიყვანა.

— ნუ ტირი, შენი ქირიმე, თინიკო, ეს ხომ ტალახი არ არის, გაგიშრება და არაფერი არ შეეცუობა.

გოგონა კი ისევ განაგრძობდა ტირილს.

— თინა, იცი, რა მოვიგონე: მე და შენ ახლა რწყილი და ქიანჭველა ვართ. დედას ვუთხრათ, რომ ჩვენ რწყილი და ქიანჭველა უკვე გავითამაშეთ და არც ღორი დაგვჭირვებია და არც კატა-თქო!

თინიკოს უცებ გაელიმა, რწყილი და ქიანჭველას ამბავი გაახსენდა, ცრემლები მოიწმინდა და გაჩუმდა.



ხელავთ, რა ეშმაკი არის
ზაქროს ბიჭი გოგო!—
წამალს არ სვამს,
ზედ მურაბა
თუ არ დააყოლა.



„თუ მურაბა არ მაჭამეთ,
მე ვერ დავლევ ამას!“

წამალი თუნდ ტკბილი იყოს,
მაინც იტყვის მამას:

მურაბა კი უნდა იყოს
ალუმბლის ან შინდის;
რომ მიირთმევს, ასე იტყვის:
„ცოტა მოვჯობინდი!“

მორიგე

შირა მაისურაძე

ბავშვებმა დილის საუზმე რომ მოათა-
ვეს, აღმზრდელმა ისინი ეზოში ჩაიყვანა.
პატარები აქეთ-იქით გაიფანტნენ; ზოგი
საქანელაზე ქანაობდა, ზოგი ხტოდა, ზო-
გი დაქერობანას თამაშობდა.

ეზოში მათი მზიარული ყრიამული
ისმოდა. დეიდა ნუცა იქვე, ბავშვებთან,
ტრიალებდა, მათ თამაშს თვალყურს
ადევნებდა და ვერც კი შენიშნა, მზე
ღრუბლებს რო-
გორ მოეფარა.

გრილმა სიომ
წამოუბერა. ეზო-
ში კორიანტელი
ავარდა. ბავშვებ-
მა ხელებით დაი-
ფარეს თვალები.

— აბა! მწკრი-
ვად დადექით და
ჯგუფისაკენ გას-
წიეთ! — უთხრა
ბავშვებს აღმზრ-
დელმა და ყველა-
ზე პატარას ხელი
ჩაჰკიდა.

ლალიმ ჯგუფის
წასვლას არ მოუ-

ცადა, ყველანი მიატოვა და ოთახისაკენ
გაიქცა.

— დეიდა ნუცა! ლალი წავიდა, ლა-
ლი წავიდა! — აყვირდნენ ბავშვები.

— ლალი! ლალი! — დაუძახეს მათ,
მაგრამ ლალის უკანაც არ მოუხედავს, კი-
ბეები მარღად აირბინა, ოთახში აქოში-
ნებული შევარდა, სკამი მიიღვა, ცერებზე
აიწია, ფანჯარა მიხურა და საკეტით გა-
ამაგრა.

— ნახე, დეი-
და ნუცა როგორ
გაგიწყურება, დაუ-
კითხავად რომ გა-
მოიქეცი! ვერ გა-
იგე, რომ გეძახ-
დით? — უსაყვედუ-
რეს ამხანაგებმა
ლალის.

— მაშ ფანჯრე-
ბი ჩამტვრეული-
ყო? არ გესმოდათ,
ქარმა როგორ მო-
ახეთქა! მე ხომ
მორიგე ვარ! —
მიუგო ლალიმ.





პაპარა მსნელი

დადგა შემოდგომა.

ლამლაშობით უკვე აცივდა. ტყეში ფოთლებს სიყვითლე შეეპარა. სოფლის მოსახლეობა ტყისაკენ დაიძრა ტოტების საჩხებად. სოფლები მალალ მუხებზე აღიოდნენ და ტოტებს სჭრიდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მწვანე ფოთლები შექცნებოდა, მათ თივის ზვინებივით აწყობდნენ. ასე ინახავდნენ ფოთლიან ტოტებს ზამთრის განმავლობაში საქონლის საზრდოდ.

ერთხელ ძია ნაიდენი სამკედლოდან დაბრუნდა და თან სამართებელივით ალესილი ნაჯახი მოიტანა. შეება ხარები უღელში, ნაჯახი ურემზე დაადგო და ტყეში წასასვლელად მოემზადა.

— კერო, — დაუძახა მან ცოლს, — შენ და ბორომ კალოზე სიმინდს მიხედეთ, ქათმებმა არ აკენკონ. მე კი ტყეში წავალ ტოტების საქრელად. შემოდგომა დაგვიდგა უკვე.

მისი ბიჭი ბორო, პირველი კლასის მოსწავლე, იქვე იდგა.

— მამა, მეც მინდა ტყეში წამოსვლა, წამიყვანე რა! სადილის შემდეგ გაკვეთილები არა მაქვს დასამზადებელი.

— დარჩი აქ, დედას მოეხმარე. — უპასუხა მამამ.

— ნაიდენე, წამიყვანე ბავშვი, გაისიერნოს, — მიმართა მას ცოლმა, — ცოტათი მაინც დაგეხმარება.

— დამეხმარება კი არა, ცელქობის მეტს არაფერს გააკეთებს... თუმცა წამოვიდეს. — თქვა თუ არა ეს მამამ, ბორო ურემზე შეტბა.

ტყეში რომ შევიდნენ, მამა მუშაობას შეუდგა; ჯერ ორი მაღალი, სწორი ხე ამოარჩია, რომლებიც სახლში მოსახმარად სჭირდებოდა, და ტოტები კარგად შემოათალა, წვეროში კი ორკაბად დასტოვა. შემდეგ ნაჯახი დაიმგრა ქამარ-



ში, აცოცდა ხის ტოტზე და სხეპვა დაიწყო. ცოტა ხანში მიწა მწვანე შტოვებით დაიფარა. ხეზე მხოლოდ ტიტველი, მოკლე ტოტებიღა დარჩა.

მამამ ბლომად შემოკაფა ტოტები. როცა დაიძალა, ჩამოვიდა და ხის ქვეშ დაჯდა დასასვენებლად. მერე შეიღს უთხრა:

— ბორო, ის ხელა დამრჩა, ბარემ იმასაც შემოკაფავ, სულ მთლად კენწეროში კი დავტოვებ. უფრო მაღალი გაიზრდება.

მამა ავიდა ხეზე და განაგრძო მუშაობა. ბორო ქვემოდან შეპყურებდა. უცებ მან დაინახა, რომ ნაჯახმა მზეზე გაიღვავა და ძირს ჩამოვარდა, მამა კი ქვემოთა მოჭრილ ტოტზე ჩამოეკიდა. ჩამოვარდნისას ქამარი ტოტს მოედო, მამამ სწრაფად დაიქირა მისი ბოლო და დაამაგრა, ოლონდ განძრევა აღარ შეეძლო. საქირო იყო სწრაფად მიშველება. საბრალო პატარა ბიჭი შიშისაგან აცახცახდა. რა ექნა, როგორ დახმარებოდა მამას? დავარდნისას ნაჯახი ტალახიან მიწაში ჩარქობილიყო და გალესილი პირით მამისაკენ იყო მიმართული.

— ბორო, ბორო, ნაჯახი იქით მისწი. — ჩამოსძახა მამამ.



ბავშვი მივარდა ნაჯახს და ტალახიდან ამოათრია.

— ბოჩო, — ისევ ჩამოსძახა მამამ, — სცადე, იქნებ შესძლო და ყველაზე გრძელი ორკაბიანი ხე მომაშველო.

ბოჩო გაიქცა და ხელი წაავლო ერთ ხეს, მაგრამ ის ძალიან მძიმე იყო. მისი წაღება ვერ შესძლო, ამიტომ ქამარი მოაბა, მხარი შეუდგა და ხე ადგილიდან დასძრა. მერე ძალ-ღონე მოიკრიბა და იმ ხემდე მიათრია, რომელზეც მამა იყო ჩამოკიდებული. დიდი ვაი-ვაგლახით შეუდგა ხის შეყენებას. კარგა ხანს იწვალა ბიჭუნამ; ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, ნუყრიანმა ხემ მხარი დაუსისხლიანა, მაგრამ საბოლოოდ ხე ისე დააყენა, რომ მამამ შესძლო ფეხი დაედგა მასზე, — ჯერ ტოტს მოეჭიდა, შემდეგ ხის ტანს და ძირს დაეშვა.

როდესაც ქვემოთ ჩამოვიდა, მამა მცირე ხნით წამოწვა სულის მოსათქმელად. შემდეგ კი ბოჩოს გადაეხვია.

— გენაცვალე, ბიჭუნა, — უთხრა მან და კოყრიანი ხელით მიუაღერსა სახეზე, — იცი, რომ სიცოცხლე გადამირჩინე?

სალამოთი მან ყველაფერი უამბო დედას.

დედა უსმენდა და სიხარულის ცრემლები სდიოდა.

— აკი მისი წაყვანა არ გინდოდა, — მიმართა მან ქმარს. — ხომ ხედავ, ჩვენი ბოჩო პატარა აღარ არის, უკვე ვაჟაკია, შენ სიკვდილს გადაგარჩინა, ჩვენ ყველანი კი — მწუხარებას!

ბულგარულიდან თარგმნა მზია ზაქარაძემ

კესანე

— თითქოს ცის ნამცვეები დაგცვენია ყვავილებად კაბაზე. რა ლამაზი ხარ! — ეუბნებოდა კესანეს ფრთებმონახატული ქრელი პეპელა და ყვავილებს სათითაოდ უკოცინდა.

— აჰ, აჰ, არ ვარ ამ ქების ღირსი. — ამბობდა მორცხვად კესანე.

— დახეთ, დახეთ, მე კი არ მამჩნევს, ასეთ აღისფერს, ასეთ ამყეს, ასეთ მაღალს! — ბუზღუნებდა ყაყაჩო და გული ბოლმისაგან უშავებდებოდა.

— სულ ამ კესანეს ბრალია, ციციანყვავილა კესანესი! — სისინებდა კინკარი და კბენია ტოტებით კესანესაკენ მიიწევდა, ერთი მაგრად დაესუსხო, ერთი ავატროო.

— ნუ, ნუ მიწყურებით, დაიებო, განა ჩემი ბრალია? იქნებ პეპელას თვალზე ბინდი გადაჰფენია! — ამბობდა კესანე ჩუმად შრიალით.

მაგრამ პეპელა თავისას არ იშლიდა, კესანეს ქებას ასხამდა, ყაყაჩოსა და კინკარზე კი სიტყვასაც არ სძრავდა.

ეჰ, ნეტავი გვალვა დადგებოდეს და მაგას გაახმობდეს, ან მახრა გადასჭრიდეს. — ინატრა კინკარ-ყაყაჩომ და ნატვრა შეუსრულდათ.

დააცხუნა ცხრათვალა მზემ, ისე ძლიერ დააცხუნა, დედამიწა სულ დახეთქა.

— ცოდონი არიან! — ჩურჩულებდა კესანე და თავის დილის ცვარ-ნამს ყაყაჩოს და კინკარს აკურებდა.

დაქცნებოდა კინკარ-ყაყაჩო, რომ კესანეს არ ეშველა; ძირებგამშრალი კესანეც ველარ იცოცხლებდა, ღროზე რომ არ მოეწვიო.

მეორე ნატვრაც შეუსრულდა კინკარ-ყაყაჩოს. მოხონდა ველზე დიდი მახრა, მაგრამ კესანეზე აღრე ელვარე ყაყაჩო შენიშნა.

— ვკრი, ვკრი! — გაიკრიკინა გულში და ყაყაჩოს ძირს ხერხიანი პირი დაუმიზნა.

— ნუ, ნუ იკადრებთ, ბატონო მახრა! — შეევედრა კესანე, ყაყაჩოს აეფარა და თავისი ძირი გამეტებით გაუწოდა.

— დაიკარგე, რად მინდა შენი ჩხინკორა ძირი! — თქვა მახრამ და კინკრისაკენ იბრუნა პირი.

— ნუ, ნუ, ბატონო მახრა! — ისევ შესძახა ახლა კინკრისაკენ გადახრილმა კესანემ და თავისი ტოტები გამეტებით გაუწოდა.

— კარგი, შენ მოგკრი, რაკი გზაზე მელობები. — თქვა მახრამ და კესანეს ხერხიანი პირი დაუმიზნა.

მაგრამ ამ დროს ველად გაჩნდა ქარიშხალი: ჰაიტ, ნახეთ სად ყოფილა სიმინდის და ბოსტნეულის მტერიო. დაუქროლა, აიტაცა, ცხრამთას იქით გაიტაცა.

ქარი ჩადგა. მზე აკაშკაშდა. ნაირფერი ყვავილები ლალად აშრიალდნენ, მხოლოდ კინკარ-ყაყაჩო იღვა გარინდებული და თვალს არიდებდა კესანეს. ბოლოს ორივემ გაბედა:

— მე შენს სიკეთეს არასდროს არ დავივიწყებ! — თქვა აწითლებულმა ყაყაჩომ.

— არც მე, არც მე დავივიწყებ. — ამოიკენესა კინკარმა და სირცხვილ-სიმწრისაგან კბენია ტოტები ცხვირ-პირში წაიშინა.

— საქმეც ის არის, რომ მოკეთეს სიკეთე არ დაუკარგო! — თქვა ფრთებხატულა პეპელამ და ყველას აუწყა, რომ ციციანყვავილა ცისფერ კესანეს „უვიწყარაც“ პქვიო.

თქვენ კი გეგონათ მხოლოდ კესანე ერქვა?!

ჩინური მოთხრობა



სიუ-ლინის მამა დი-ლით აღრე გაეშურა ქარხანაში სამუშაოდ.

სიუ-ლინის დედამ აიღო თოხი და მინდორში წავიდა სათოხნად.

სიუ-ლინი თავის ძაღლთან ერთად შინ დარჩა. საქმე არ ჰქონდა, მაგრამ გადაწყვიტა თვითონაც ემუშაო და ეზოში გავიდა; ეზოში ბევრი ქვა ეყარა და იქაურობა დანაგვიანებული იყო. სიუ-ლინმა ეზო დაგავა, ქვები კალათაში მოაგროვა, მერე კვლები გააკეთა. ქვები კი რუს პირზე დააწყო, რომელიც კარმიდამოს ჩამოუღლიდა.

კვლები მზად არის. სიუ-ლინმა მოაჩვენინა თესლი და დათესა. მერე წყალი მოიტანა და კვლები გულმოდგინედ მორწყა. საქმეს რომ მორჩა, ხელები

დაიბანა და დასასვენებლად ხის ქვეშ ჩამოჯდა.

მამა სამუშაოდან დაბრუნდა და გაოცებით ჰკითხა:

— ეინ იმუშავა ჩვენი ეზოში?

— ჩემმა მეგობრებმა მიშველეს. — უპასუხა სიუ-ლინმა.

დედა დაბრუნდა მინდვრიდან და გაოცებით იკითხა:

— ვინ გააკეთა კვლები?

— მე, ჩემი ათი მეგობარი დამეხმარა! — მიუგო სიუ-ლინმა.

— სად არიან შენი მეგობრები? — გაუკვირდა დედამას.

— აი, უყურეთ! — უთხრა სიუ-ლინმა და თავისი ხელები აჩვენა: — ათი თითი!

თარგმანი ელ. ჯავახიძისა



სოფელი

კ. აპულაშვილი

და აი, ისევ სოფელი!... სიხარულს როგორ დამალავს გოგონა ჩვენი სტუმარი, ჩვენი პატარა მანანა. ბაღჩებთან ხელებგაშლილი შემოეგება ბებიას... ღობეებს აქეთ თუთები, იქით სულ მწიფე ბლებია, ბლებია, ბალის სიმძიმით სულ ტოტებჩამონამტვრევი. გზაზე რუს პირას სისინით მიირწვიან ბატები...



მერე მინდორში პაპასთან გუგული გუგულს ეძახის. ლურჯი ვენახი აქეთაც, იქითაც ლურჯი ვენახი. რამდენი ალუბლებია! რამდენი კიდევ ვაშლები! სტუმარს ღიმილით უცქერენ, ხილს უყვარს კარგი ბავშვები. ირგვლივ ყვავილითა სურნელი... სიხარულს როგორ დამალავს გოგონა ჩვენი სტუმარი, ჩვენი პატარა მანანა.

ზღაპარი



ერთ სოფელში ძროხამ ტყუები ხბო მოიგო. ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორც თაფლის წვეთები. როცა ბლაოდნენ, თითქოს ერთმანეთს აჯავრებდნენ. თუ რომელიმე იცეღებდა, ძროხა მეორეს ურქენდა, თუ ერთი ჭკვიანად მოიქცეოდა, ძროხა მეორეს მიუაღერებდა, რადგან ერთმანეთში ერეოდა. ერთი სიტყვით, ხბორები სოფლის ბავშვებსაც ვერ გაერჩიათ ერთმანეთისაგან.

როდესაც წამოიხარდნენ და ღონიერ მოზვრებად იქცნენ, მიკუნტრუშდნენ სამკედლოსთან და ჰკითხეს მკედელს: „ყველას და ყველაფერს სახელი აქვს და ჩვენ რატომ არაფერი დაგვარქვეს?“

გაეღიმა მკედელს, გრდემლს მოშორდა, ახალგამოქედილი ორი რკინა აიღო და ერთი წინ გაიშვირა:

— აბა, თუ იცით, ეს რა არის? — ჰკითხა მოზვრებს.

— ნალი! — წამოიბღავეს მოზვრებმა და ერთმანეთს შეხედეს, ხომ არ ვცდებითო.

— ყოჩაღ, მართალს ამბობთ. — დაუყვავა მკედელმა და მეორე რკინაზე მიუთითა: — ეს რაღა არის?

— ეგეც ნალია! — კვლავ წამოიბღავეს მოზვრებმა და ახლა კი თავმომწონედ მოიღერეს კისრები.

— ხომ ხედავთ, — განაგრძო მკედელმა, — ეს რკინები ერთმანეთს ჰგვანან და ამიტომ სახელიც ერთი აქვთ. მაგრამ შეიძლება რომელიმე სულ უხმარებლად დაჟანგდეს, მეორე კი მულშაობაში სარკესავით აპრიალდეს; მაშინ პირველს „დაჟანგულს“ დაარქმევენ, მეორეზე კი იტყვიან: „როგორ გაკრიალებულა მუ-

შაობაშიო“. რადგან შესახედაობით თქვენც ერთმანეთს ჰგავხართ, ამიტომ შრომაში უნდა გამოსცადოთ თავი და სახელსაც ამის მიხედვით შეგარქმევთ,

თორემ ისე ძნელია.

მოზვრები ჩაუქრდნენ. მერე ერთმა თავი ასწია და მკედელს ჰკითხა:

— დღესვე თუ შეიძლება ჩვენი გამოცდა?

— როგორ არა, — უპასუხა მკედელმა, — სკოლის ახალ შენობას აგებენ, აგურები გადასაზიდი, იქ წაგიყვანთ და მეურმე გამოგვცდით.

მკედელმა მოზვრები ნალებით დაქედა და მშენებლობაზე წაიყვანა. დატვირთეს ურემი აგურით, შეაბეს უღელში ჩვენი მოზვრები. დაიძრა ურემი, აქრიალდა ბორბლები, კისრები ჩაეღუნათ მოზვრებს. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ როგორც კი აღმართს შეუდგნენ, ერთი მოზვერი ჩამორჩა, ორიოდვე ნაბიჯი გადადგა და მერე სულ გაჩერდა.

— ზარმაცი, ზარმაცი! — მოისმა უეცრად ბავშვების ჟივილ-ხივილი.

მოზვერს სირცხვილისაგან თვალები აქეთ-იქით გაექცა, უნდოდა კვლავ გაეწია უღელი, მაგრამ ძალიან დაეზარა აღმართზე ასვლა.

— მართლა ზარმაცი ყოფილა! — დაასკვნა მეურმემ.

— აი, ეს კი ბეჯითია, მარტოც აიტანდა აღმართზე ურემს. — თქვა წითელყელსახვევიანმა ბიჭუნამ და მეორე მოზვერს ზურგზე ხელი გადაუსვა.

ამის შემდეგ აღმართის ეშლებოდა მოზვრები. როგორც კი უღელში შეაბამდნენ, მაშინვე იცნობდნენ: „აი, ეს ზარმაცია, ეს კი ბეჯითია!“





შვილობილი

— დილა მშვიდობისა, მეზობელო. წუხელ როგორი წვიმა იყო, ლამის წაგვლეკა!..

— ოჰ, ოჰ! ნუ მეტყვი, გეთაყვა, ამ ხნისა ვარ და ასეთი ქექა-ქუხილი არ მახსოვს!

ასე საუბრობდნენ მუხის ტოტზე ჩამომსხდარი კოდალა და ოფოფი ერთ დილას.



— მომშვივდა, — თქვა კოდალამ, ნისკარტი მუხის ტოტზე გაიწმინდა და განაგრძო, — ამ მუხას ქია-მატლები არ ასვენებენ, იმათ როგორ შევაწუხებინებ ჩემს მოამაგეს! ეგ რომ არ მიფარავდეს, წუხანდელ წვიმას ვინ გადაურჩებოდა. მოდი, მეგობარო, ქია-ლუა ორივეს გვეყოფა, ჩვენი მუხაც დაგვიმადლებს.

— არა, მინდორში გავფრინდები. ნაწვიმარზე ხოქოებს უყვართ გამოსვლა! — თქვა ოფოფმა, ქოჩორი ლამაზად შეიკეცა და ჰაერში შეინავარდა.

კოდალამ ხის ქერქი ვახეთქა, ნისკარტი აღგილი გააფართოვა და თავისი გრძელი წებოიანი ენა შიგ ჩაჰყო. ზედ ველებერთელა მატლი აეკრა.

— მეზობელო! მეზობელო! — მოვარდა ამ ღროს ოფოფი.

— რა მოხდა?

— ის იყო ხოქოს თავზე დავაცხერი, რიყეზე გავიტანე, ქვაზე დაუწყე რტყმევა, მინდოდა ქერქი დამემტვრია და მერე გემრიელად გაახლებოდი, რომ უცბად შინდიანის უბნიდან ჟივილი-ხივილი მომესმა; იქ ხომ უამრავი ჩიტი ბუდობს! მივარდნია ის უქნარა გუგული და თურმე მათ ბუდეში უნდოდა კვერცხის ჩადება... ისე უნისკარტებდნენ, რომ მისი ბუმბული სულ ველად გაჰქონდა ნიავს. იკადრა გაქცევა და სწორედ აქეთ გამოეშურა. აი, შეხედე, აგერ მობრძანდება! — შესძახა ოფოფმა და თავის ბულისაკენ გაეშურა.

— დილა მშვიდობისა, ლამაზო მეზობელო! — მიესალმა გუგული კოდალას.


— სადაური შენი მეზობელი ვარ, ბუდე შენ არ გაგაჩნია და შვილები.

— შინდიანის უბანში ვიყავი, მაგრამ ყურები გამომიქედა ჩიორების ჟივილი-ხივილმა! აბა, ისინი რა ჩემი ტოლები არიან. ახლა თქვენსკენ გამოვსწეი, აქაურობა ძალიან მომწონს!

— აქედან დაიკარგე. — შეუთია კოდალამ გუგულს და კისერი წაიგრძელა.

— ერთი ამას უყურეთ! ასე იციან თქვენში სტუმრის მიღება?

— კარგი სტუმარი კი ბრძანდება, შე



უქნარა შენა, აქ სასიკეთოდ არ მოხვი-
ლოდი. დაიკარგე აქედან!

— არა, გეთაყვათ, იქყვილეთ, რამდენ-
ნიც გენებოთ, თუ გინდათ, თქვენ წა-
ბრძანდით, მე კი აქ ძალიან მომწონს. —
მხრები შეარხია გუგულმა. მეორე ხეზე გა-
დაფრინდა და დასძახა:

— გუგუ! გუგუ!

* * *

გავილა ხანი.

ოფოთი ბუდის წინ ტოტზე იჯდა და
თავის პატარებს ეპატიყებოდა:

— ვადმოლოთ, სცადეთ, არაფერი არ
არის საშიში, მხოლოდ ფრთები გაშა-
ლეთ.

ბარტყები უშნოდ აფართხუნებდნენ
ფრთებს, აღებდნენ პირს და ბუდიდან
ვერ ვადმოდიოდნენ. ბოლოს ერთმა ბარ-
ტყმა გაბედა და ბუდის ნაპირზე ჩამოს-
კუბდა.

— ახლა ამ ტოტზე ვადმოფრინდი,
აი, როგორ ახლოს არის! — ამხნევებდა
დედა შვილს. ბარტყმა თავგამოდებით
დაიქყვილა, ფრთები გაშალა, აფრინდა
და მართლაც უენებლად გაჩნდა დედის
გვერდზე.

— ყოჩაღ, ჩემო ლამაზო! — მიუალერ-
სა დედამ და შეშინებულს აბურძნული
ბუმბული ნისკარტით გაუსწორა. მერე
დანარჩენებს მიუბრუნდა:

— თქვენც გაბედეთ, კარგებო, ხომ
ხედავთ, საშიში არა არის რა!



ბარტყები ვადმოვიდნენ და დედის
გვერდით ტოტზე ჩამწკრივდნენ. ვახარე-
ბულმა ოფოფმა ცაში კამარა შეკრა და
კოდალას მიეჭრა:

— შვილები დავაფრინე, მეზობელო,
შვილები, მომილოცე!

— ყოჩაღ, კარგად დაგიზრდია! რა
ლამაზები არიან, ყველანი შენა გგვანან,
შენსავით ლამაზქოჩრიანებია. — იძახდა
კოდალა, მაგრამ უეცრად პირი დაღებუ-
ლი დარჩა და გოცებული თვალებით
მიაჩერდა განპირად მჯდომ ბარტყს.
ოფოფმა თვალი გააყოლა კოდალას, შე-
კრთა, თვალები დახუჭა და ძლივსღა
ამოიკნავლა:

— ეს ვინ გამიზრდია, უი ჩემს თვა-
ლებს!

ერთი ბარტყი პირწავარდნილი გუ-
გული იყო.

— რას იზამ, ჩემო კარგო, ასე იცის
იმ უქნარამ. აი, თურმე რატომ არ სცილ-
დებოდა ამ შიდამოს. — უთხრა კოდალამ.

ოფოფს ცრემლები ჩამოსდიოდა.


— კარგი, დაწყნარდი, გულს ნუ გაიხე-
თქავ, გინდა ამ წუთში გადავაგდებ ტო-
ტიდან! — დააიმედა კოდალამ.

— არა, არა, გეთაყვა, — ფრთის აქნე-
ვით შეაჩერა ოფოფმა, — ვერ ვავიმეტებ.
ჩემი ვაზრდილია, შვილებში არ გამო-
მირჩევია, დღედაღამე თავზე დავტრია-
ლებდი, ახლა როგორ გადავაგდო?! —

— მართალი ხარ. — დაეთანხმა კოდა-
ლა, ბუდისაკენ გაეშურა და თან ფიქრობ-
და: ვინ იცის, იქნებ ჩემს შვილებშიაც
ურევია იმ უქნარას ჯიშისაო.

სწორედ ამ დროს თავის ბუდიდანაც
მოესმა გუგულის ბარტყის გაუბედავი:

— გუგუ!



მზა ლა წვიმა

მიორგი ქაჭახიძე

მოიღრუბლა, არ გვეამა,
გვაშინებდა გრგვინვა ციდან...
მაგრამ მალე მზემ ღრუბლები
გაარღვია და გაბრწყინდა.
გაგვიკვირდა, მზეც რომ იყო
და ნელა-ნელა მიინც წვიმდა.

—მზე პირს იბანს,—გვიტხრა ბებომ,
თან სიამით ჩაახველა.
ცას რომ ზოლი გადაეკრა,

მან მოგვხიბლა უფრო ყველა.
ბებოს ვკითხეთ:—ეს რა არის?...
გვიპასუხა:—ცისარტყელა.

—რა კარგია!—შემოვძახეთ,
თამროც აგვყვა ცუგრუმელა.
ჩვენს ხმაურში, მზის სიცილში
წვიმა შეწყდა ნელა-ნელა,
ცაზე მიინც დიდხანს ჩანდა
მომხიბლავი ცისარტყელა.



ყდის მხატვრობა გუთუნის კ. შახარაძეს

რედაქტორი **ოსებ ნუნეშვილი**. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, თ. გრიშაშვილი,
კ. გოგიაშვილი, მავყალა შრეელიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგაინა, თ. სხარულაძე, ნ. უნაქოშვილი.
შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) **გამოცემის ოცდამეგრე წელი** ფასი 2 მან.

Д Е Л А — ежемесячный детский журнал ЦК НКМ Грузии № 6, август 1965 г. Тбилиси. Листов 14.
საბლიტბაში, ჩეკოსლოვაკიაში: თბილისი, ღვინის 14, 8 სართ. ბდ. მ-07-88 გამოც. შვედ. № 307 სტამბის შვედ. № 650/1348.
ტირაჟი 12 000. შპ 03286 ხელმოწერილია დასაბამებლად 26/VII 65 წ. ტექსტი ანუზობლია პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“
სტამბაში. კურნლი დაბეჭდილია ოსტეტის ხისტების შანჯანაზე კაზია ვოსტოკას* სტამბაში.